საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7173
24/11/2022

7173-21-2-202211241738

სს „აჭარის წყლის ალიანსს“
მის: კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
ელ.ფოსტა: lnfo@awa.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 3 ნოემბრის N31324 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხება ქობულეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ოჩხამურში გამწმენდი ნაგებობის (N1) და წყალარინების სისტემის მშენებლობასა და ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, გამყვანი მილსადენის დერეფანი ნაწილობრივ გადის სატყეო ტერიტორიაზე, აღნიშნულიდან გამომდიარე, კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში გათვალისწინებული იყოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-10 მუხლის, მე-4 ნაწილის შენიშვნის მოთხოვნები, კერძოდ, თუ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობა იმავდროულად საჭიროებს ტყის სტატუსის შეწყვეტას ან განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალურ სარგებლობას, საქმიანობის განმახორციელებელმა გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს ტყის სტატუსის შეწყვეტისთვის/განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს ,,საქართველოს ტყის კოდექსის”, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილების და/ან „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 6 ოქტომბრის N496 დადგენილების მე-13 მუხლის მოთხოვნები;

  განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის უფლების მოსაპოვებლად, საჭიროა წარმოდგენილი იყოს შემდეგი ინფორმაცია და დოკუმენტაცია: განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის აუცილებლობის მოტივაცია, მიზანი და ვადები; განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის შერჩეული ფართობის

დაზუსტებული აზომვითი ნახაზის Shp-ფაილი ელექტრონული ვერსია UTM კოორდინატთა სისტემაში; ხე-ტყის მოჭრის აუცილებლობის დასაბუთება (ჭრის საჭიროების არსებობის შემთხვევაში); განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის შერჩეულ ფართობზე არსებულ მერქნიან მცენარეთა მონიშვნის მასალები, მათ შორის აღრიცხვის მასალები და ინფორმაცია წითელი ნუსხით დაცულ მერქნიან მცენარეთა სახეობების არსებობის შესახებ;

ტყის სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნის შემთხვევაში, საჭიროა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია: რატომ არის საჭირო ტყის სტატუსის შეწყვეტა საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე; რატომ არის შეუძლებელი აღნიშნული საქმიანობის განხორციელება განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში; საჭიროა, წარმოდგენილ იქნას ეკონომიკური მიზანშეწონილობის და სატყეო ფართობზე მოსაწყობი ინფრასტრუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაცია; გზშ-ის ანგარიშში საპროექტო ტერიტორიის ალტერნატივების შერჩევისას სათანადოდ უნდა იქნეს დასაბუთებული შერჩეული ტერიტორიის უალტერნატივობა და შესაძლებლობის შემთხვევაში, შემოთავაზებულ იქნას სხვა ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც არ მოიცავს ტყის ტერიტორიას;

- როგორც სკოპინგის დასკვნით გეცნობათ, ქობულეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ უნიკალურ ტორფნარზე შესაძლო ნეგატიური გავლენის თავიდან ასარიდებლად მიზანშეწონილი არ არის N1 გამწმენდი ნაგებობის განთავსება განხორციელდეს პირველი (შერჩეული) ალტერნატივის შესაბამისად, რომელიც ქობულეთის დაცული ტერიტორიებიდან დაშორებულია 40 მეტრით. თუმცა, გზშ-ის ანგარიშში შერჩეულია კვლავ პირველი ალტერნატიული ვარიანტი, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ინფორმაცია იმ კონსულტანტის იურიდიული მისამართის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გზშ-ის ანგარიში მომზადებულია არასამთავრობო ორაგანიზაცია „ეკოტონის“ მიერ, თუმცა დოკუმენტში აღნიშნული ორგანიზაციის იურიდიული მისამართის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. ამასთან კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს კონსულტანტის მიერ;

- გზშ-ის ანგარიშის მე-2 თავში „გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები“ წარმოდგენილი ცხრილი საჭიროებს შესაბამის კორექტირებას/განახლებას. ამასთან, დოკუმენტის მე-11 გვერდზე ადამიანთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის საფუძვლად მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;

- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია რომ ცალკე სალამე მოედნების მოწყობა გათვალისწინებული არ არის (ქვეთავი - 3.2.5.3 ლამის მართვა), ასევე 4.3.1 ქვეთავის

მიხედვით, საპროექტო გამწმენდ ნაგებობას სალამე მოედანი არ ექნება, თუმცა გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა გვერდზე მოცემულია ლამის მოედნებზე განთავსების და შემდგომი მართვის საკითხები, შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- ვინაიდან ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა მდებარეობს ქობულეთის აღკვეთილის (დაცული ტერიტორია) მიმდებარედ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკურორტო და დაცულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელების შემთხვევისთვის მავნე ნივთიერების მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მნიშვნელობა 1,0-ის ნაცვლად უნდა შეიცვალოს 0,8 -ის მნიშვნელობით;

- ანგარიშის თანახმად ,,პროექტით გათვალისწინებულია ფრანგული ტიპის ვერტიკალური ჰიდრობოტანიკური ნაკადის მქონე მოედნების მოწყობა ერთფილტრიანი საფეხურით. ეს ტექნოლოგია იძლევა საშუალებას, რომ საჭიროების შემთხვევაში მომავალში გაუმჯობესდეს გაწმენდის პროცესი (მეორე ფილტრის ეტაპი: ბიოლოგიური ფილტრის დამატება, ფილტრის შრის გაორმაგება, აერაცია და ა.შ.)". დაზუსტებას საჭიროებს გაწმენდის პროცესის - მეორე ფილტრის ეტაპის შესახებ დეტალური მონაცემები და რა შემთხვევაში მოხდება მისი გამოყენება. ასევე დასაბუთებას და დეტალურ განხილვას საჭიროებს აღნიშნული გაწმენდის პროცესის გამოუყენებლობის საკითხი;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გამწმენდი ნაგებობის გენ-გეგმა არ შეესაბამება წარმოდგენილ Shp ფაილს. გზშ-ის ანგარიშში ასევე არ არის წარმოდგენილი გამყვანი მილსადენის shp ფაილი;

- გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე სამუშაოები შესრულდება 07:00 საათიდან 17:30 საათამდე. ამასთან, წარმოდგენილი მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშებების თანახმად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (7-8 მეტრის დაშორებით) ხმაურის დონე 73 დბა-ს შეადგენს და მშენებლობის პროცესში, ინტენსიური სამუშაოების ჩატარებისას მოსალოდნელია დღის საათებისთვის დადგენილი ხმაურის ნორმირებულ დონეებზე მცირედით გადაჭარბება. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, რეგლამენტი არ ვრცელდება დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე. ვინაიდან ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ" მიხედვით, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე) პერიოდებისათვის, დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების გრაფიკი;

- გზშ-ის ანგარიშის ქვეთავი 3.1 მიხედვით, გამწმენდი ნაგებობიდან გაწმენდილი წყლის გაყვანა გათვალისწინებულია მიწისქვეშა მილსადენის საშუალებით, ხოლო ანგარიშის 3.2.5.2 ქვეთავში (გაწმენდილი წყლის გამყვანი მილსადენი) მოცემული ინფორმაციის მიხედვით მილსადენის განთავსება მოხდება რკინა-ბეტონის ან

ლითონის დგარებზე, ყოველ 6 მეტრში. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

- გზშ-ის ანგარიშის 5.1.1.1 ქვეთავი, რომელიც ეხება საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებას, საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას. კერძოდ, მოცემულ ქვეთავში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, საპროექტო ტერიტორიაზე მეწყრული და სელური პროცესების შესახებ;
- ზდგ-ის პროექტის ცხრილი 1.1.-ში საჭიროებს ობიექტის ფაქტიური მისამართის დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის CW უჯრედებზე გათვალისწინებული მიწისზედა მილსადენების განთავსების და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ფეკალური ლამის გამწმენდ უბანზე ლამის განთავსების და აღნიშნულ უბანზე ლამის დაშლის აერობული პროცესების შესახებ ინფორმაცია;

- გაცნობებთ, რომ „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად ასევე ვრცელდება ხაზობრივი (ყველა სახის მილსადენი, გვირაბი, გზა, რკინიგზა, ელექტროგადამცემი და კავშირგაბმულობის ხაზი, სამელიორაციო და საკანალიზაციო სისტემები, არხი, ტრანშე) მშენებლობის საქმიანობაზე, შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში;

- კორექტირებას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშის ცხრილი 1.1 (საკონტაქტო ინფორმაცია). აღნიშნულ ცხრილში საქმიანობის განხორციელების ადგილად მითითებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ვაშლოვანი;

- ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია, ერთიანი ცხრილის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს სს „აჭარის წყლის ალიანსის“ მიერ ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული, სრულყოფილი დოკუმენტაციის სააგენტოში წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო